community

The New Apostolic Church around the world

03/2016/GE

გავიმარჯვოთ ქრისტესთან ერთად:

დარჩენა ყველაფერია

ღვთისმსახურება ანგოლაში: „ფასით ნაყიდნი“

კატეხიზმოდან: მოძღვრება მომავალის შესახებ

ქრისტიანობის ისტორიიდან

New Apostolic Church
International

დარჩენა ყველაფერია

სერთამშორისო ა.ს.ე.

საყვარელო და-ძმანო,

ახალი აღთქმის წერილებში ბევრ მითითებას ვხვდებით იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა გავიმარჯვოთ ქრისტესთან ერთად.

ამ წერილებში პავლე მოციქულის ცხოვრების შედეგია მოცემული: „კეთილი ბრძოლით ვიბრძოდი, განვვლე ასპარეზი, რწმენა შევინარჩუნე. ახალ კი მომელის მე სიმართლის გვირგვინი“ (შევ. 2. ტიმ. 4, 7-8). მაშასადამე, რწმენაში „გამარჯვება“ არ ნიშნავს იმას, რომ ყველაზე უკეთესები ვიყოთ, არამედ იმას, რომ ბოლომდე გავძლოთ და მიზანთან მივიდეთ.

კორინთელთა (9, 25. 26), ებრაელთა (12, 1) და ფილიპელთა (3, 13. 14) მიმართ ეპისტოლეებიც სპორტსმენისა და შეჯიბრის მაგალითს იყენებს. ისინი გამძლეობის გავარჯიშებაში გვეხმარებიან. ვისაც სურს, რომ ბოლომდე გაძლოს, ვიდრე მიზნამდე მივა, მან შესაბამისად

- მიზანი უნდა გააცნობიეროს: ჩვენი სურვილი საუკუნო დიდებაში შესვლაა. ამისათვის კი სულ უფრო მეტად უნდა დავემსგავსოთ ქრისტეს. საკმარისად ვმუშაობთ ამაზე?

- მხედველობიდან არ უნდა დაკარგოს ეს მიზანი: ყიჟინას ან უარყოფით შეძახილებს ჩვენს სავალ გზაზე ნუ მივცემთ იმის საშუალებას, რომ გზიდან გადაგვახვევინოს;
- დაყოს სავალი გზის მონაკვეთი ნაწილებად: მხნეობა არ უნდა დაგვაკარგინოს იმან, რომ ჯერ კიდევ საკმაოდ შორს ვართ იესოს არსისგან. შეგვიძლია ცალკეული თვისებები თანდათან გავითავისოთ, რათა გარკვეული ხნის განმავლობაში შესაბამისად მოვიქცეთ;
- გაანაწილოს ძალები: თუ სარწმუნოებრივი ცხოვრება ბევრ დროს მოითხოვს, მაშინ მატერიალური საქმეები უნდა შეკვეცოს კაცმა და სულიერზე იყო ორიენტირებული.
- მოიშოროს ტვირთი: დანაშაული და შეურიგებლობა წინსვლას აფერხებს. ვეძიოთ მიტევება და მივუტევოთ!
- დაიცვას დიეტა: რომელი საკვები გვაძლიერებს რწმენის ასპარეზზე? მხოლოდ ის მივაწოდოთ სულს, რაც ხანგრძლივად გააძლიერებს მას. ეს არის, უპ. ყოვლისა, ღვთის სიტყვა და წმიდა ზიარება.

მონაწილეობის მიღება ყველაფერია - ასე ჟღერს ცნობილი ოლიმპიური იდეა. სწორედ რწმენის ასპარეზს ეხება ეს სიტყვები: დარჩენა ყველაფერია. მოდით, 1. ტიმ. 6, 12-ის ამ მოწოდებით გავმხნევდეთ: „იღვაწე რწმენის კეთილი ღვაწლი, ჩაეჭიდე საუკუნო სიცოცხლეს, რომლისთვისაც მოწოდებული ხარ.“

გულითადი მოკითხვები, თქვენი

ჟან-ლუკ შნაიდერი

■ ფოტო: ჰერმან ზეთკე და ანგოლის სტატისტიკა

„ფასით ნაყიდნი“

1. კორ. 7, 23

ფასით ხართ ნაყიდნი, ნუ გახდებით ადამიანთა მონები.

საყვარელო და-ძმანო, მგალობელთა სიმღერა ჩვენს სიხარულს გამოხატავს იმის გამო, რომ დღეს ამ ღვთისმსახურების განცდის უფლება მოგვენიჭა. მინდა ეს სიხარული თქვენც გაგიზიაროთ. თუმცა ისიც კარგად მესმის, რომ არიან ჩვენს შორის და-ძნანი, რომლებსაც არა აქვთ სასიხარულო განწყობა: იმიტომ კი არა, რომ რწმენის ძალა არ შესწევთ, არამედ იმიტომ, რომ განსაცდელის გავლა უწევთ, ბევრი საზრუნავი აქვთ და ბევრი საფიქრალი საკუთარ თუ შვილების მომავალზე. ამ და-ძმას მინდა ვუთხრა: ძმაო, დაო, შენ დავიწყებული არ ხარ, ღმერთს სურს, რომ განუგეშოს და გაგაძლიეროს დღეს. მას სურს ისე მოგიახლოვდეს, რომ იგრძნო: „ღმერთი ძალიან ახლოა ჩემთან.“ ის თავისი შემწეობის გარანტიას გაძლევს.

ყველაზე დიდი დახმარება, რისი გაწევაც ღმერთს ჩვენთვის უნდა, ყველა ბოროტისგან ხსნაა. ეს გაცილებით მეტია, ვიდრე მოცემულ მომენტში არსებული სნეულებისგან განთავისუფლება. მას სურს იზრუნოს იმაზე, რომ საუკუნოდ გვიხსნას ყველა ტანჯვისგან, ყველა უბედურებისგან, ყველა ბოროტისგან. მაშ, იქონიე ნუგეში: ღმერთი ყველაფერს აკეთებს, რომ დაგეხმაროს.

ამაზე მუშაობა დაიწყო მაშინ, როცა ღვთის ძემ თავისი სიცოცხლე გაიღო ჩვენთვის. სწორედ ამას გაუსვა ხაზი პავლე მოციქულმა, როცა თქვა: „ფასით ხართ ნაყიდნი.“

ადამის დაცემის შედეგად ყველა ადამიანი ცოდვის მონა გახდა. ჩვენ ვიტანჯებით ბოროტისგან, ვინაიდან მისი ძალის გავლენის ქვეშ ვიმყოფებით. ყველა სნეულება, ყველა უსამართლობა, ტანჯვა და სიკვდილი ამ ცოდვის შედეგია. ადამიანი დაბადებიდანვე ცოდვის მონაა. სწორედ ამისგან სურს უფალს ჩვენი გამოსყიდვა. ამიტომ გვიყიდა ძვირად. მან საკუთარი სიცოცხლე გაიღო მსხვერპლად, ჩვენს ნაცვლად დასდეს მას მსჯავრი, დასაჯეს და მოკლეს. მან, რომელიც სრულყოფილი იყო, რომელსაც არასოდეს არაფერი შეშლია, საკუთრ თავზე აიღო მსჯავრი, რათა ჩვენთვის აეცილებინა იგი. ის დაისაჯა, რათა ჩვენ არ დავსჯილიყავით ჩვენი შეცდომებისა და ცოდვების გამო. ჩვენი გამოსყიდვა მისი დამსახურების წყალობით გახდა შესაძლებელი.

> მოდით, ნუ ვივლით ჩვენი გზებით, იესო ქრისტეს გავყვეთ. ჩვენ ვიცით, რომ ვინც იესო ქრისტესთან ერთად იბრძვის, გაიმარჯვებს.

იმდენად ვუყვარვართ ღმერთს, რომ მისი ძე ჩვენთვის მოკვდა. გავიხსენოთ ისიც, თუ რა გააკეთა მან მისი ძის მსხვერპლშეწირვის შემდეგ, რათა ამ დამსახურების ნაყოფი შეგვეტკბო: მოავლინა სულიწმიდა, მოგვცა მოციქულები, საუკუნეების განმავლობაში იესო ქრისტეს სახარების გავრცელებაზე ზრუნავდა. იყო პერიოდები, როცა სახარება ძალიან ბევრმა ადამიანმა

კალათბურთის სტადიონზე „ციტადელაზე“ და მის მომიჯნავე დარბაზში 13 800 მონაწილე შეიკრიბა ღვთისმსახურებაზე.

მიიღო; მაგრამ სხვა დროებიც იყო; დროები, როცა ქრისტიანებს სდევნიდნენ, მაგრამ ღმერთი ზრუნავდა იმაზე, რომ საქმე გაგრძელებულიყო.

ჩვენ ასევე ვიხსენებთ იმ ადამიანებს, რომლებიც იმაზე ზრუნავდნენ, რომ სახარების უწყება ჩვენამდე მოსულიყო. იესო ქრისტემ ძვირი გადაიხადა ჩვენთვის, და იესო ქრისტეს სამსახურში მყოფმა ბევრმა ადამიანმა მსხვერპლიც გაიღო, რათა ჩვენი გამოსყიდვა დღეს შესაძლებელი ყოფილიყო. რამდენი მსხვერპლი იქნა გაღებული იმისათვის, რომ მოციქულებმა დღესაც შეძლონ და იმოღვაწონ ჩვენს შორის!

> ვინც იესო ქრისტეს მიჰყვება, ის ამას ამაოდ არ აკეთებს, ის საუკუნო სიცოცხლის გვირგვინს მიიღებს, უდიდეს საზღაურს, რაც კი შეიძლება არსებობდეს.

პავლე ამბობს: „ფასით ხართ ნაყიდნი, ნუ გახდებით ადამიანთა მონები.“ ამას არაფერი საერთო არა აქვს ცალკეულ პიროვნებასთან, აქ ამქვეყნის მონობა იგულისხმება: ღმერთმა გამოგისყიდათ, ძვირი გადაიხადა, რათა აღარ გახდეთ ამქვეყნის მონები. აქ „ადამიანთა მონებზეც“ კია ლაპარაკი. მონა თავისუფალი არ არის, ის შებოჭილია. მის თავისუფალ ნებას სათვალავში არავინ აგდებს, მონამ ის უნდა გააკეთოს, რაც მის ბატონს სურს. ის იძულებულია, იმუშაოს და ამისათვის გასამრჯელოს არ იღებს, ყველაფერს უსასყიდლოდ აკეთებს. ჩვენ, როგორც ღვთის შვილები, აღარ უნდა გავხდეთ ამქვეყნის მონები.

რას ნიშნავს ეს?

ბიბლიაში ბევრი მაგალითია მოცემული იმ ადამიანებზე, რომლებიც აირჩიეს ან გამოისყიდეს, მაგრამ არასწორი გადაწყვეტილების გამომათ ყველაფერი დაკარგეს. გაიხსენეთ ესავი. ის რჩეული იყო, პირმშო და განსაკუთრებული კურთხევა უნდა მიეღო; მაგრამ ის ამქვეყნიური მოთხოვნილებების ტყვეობაში აღმოჩნდა. ამის გამო მას გადაწყვეტილების თავისუფლად მიღება არ შეეძლო. მან თავისი კურთხევა ცერცვის შეჭამანდში გაყიდა. ამქვეყნიური მისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო, ვიდრე კურთხევა. ამიტომაც თავისი ძმის მონა გახდა.

ქადაგება დაასრულეს სამხ. მოციქულმა პატრიკ ქვანაზიმ (სამხრ. აფრიკა, სურათი ზემოთ მარჯვ.) და სამხ. მოციქულმა ნოელ ბარნესმა (კეიპტაუნი).

კითხვაზე, კიდევ დარჩა თუ არა მამას მისთვის კურთხევა, მამამ უპასუხა: „შენს ბატონად დავაყენე იგი - შენი ძმა - და ყველა მისი ძმა მივეცი მას მსახურად ... შენ რაღა გიყო, შვილო?“ (დაბ. 27, 37).

დიდ საფრთხეს წარმოადგენს ის, რომ ამქვეყნიური მოთხოვნილებების მონები და ტყვეები ვხდებით და, რომ ამქვეყნიური კეთილდღეობა სულის ხსნაზე მნიშვნელოვანი ხდება ჩვენთვის. ერთნი ამბობენ: „ვერ მოვალ ღვთისმსახურებაზე, რადგან საქმე მაქვს“. მეორენი ამბობენ: „როცა საქმე ფულს ეხება, ვერც ღმერთს დავემორჩილები და ვერც მცნებების მიხედვით ვიცხოვრებ.“ წმიდა ნათლობის, სულიწმიდით აღბეჭდვისა და კონფირმაციის დროს მათ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ გაჰყვებოდნენ იესო ქრისტეს და ღვთის მცნებებისამებრ იცხოვრებდნენ. მაგრამ, ვინაიდან ისინი ამქვეყნიურის მონები გახდნენ, აღარ არიან თავისუფალნი და ვერ იცავენ თავიანთ თანხმობის სიტყვას. მათი ამქვეყნიური მოთხოვნილებების გამო ისინი აღარ ითვალისწინებენ ღვთის მცნებებს.

ჩვენ ფასით გვიყიდეს. მოდით, ნუღარ გავხდებით ამქვეყნიურის მონები. ჩვენ უფლის სასარგებლო გადაწყვეტილება მივიღეთ და თავისუფალნი ვართ, რომ ვიაროთ იმ გზაზე, რომელიც ღმერთმა გაგვიკვალა.

პავლე მოციქულმა გარკვევით თქვა, რომ სულის ხსნისათვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, ადამიანი მონაა თუ თავისუფალი, ებრაელია თუ არაებრაელი, მდიდარია თუ ღარიბი. აქ განწყობაა მთავარი. მოდით, სწორი გულისმიერი განწყობა ვიქონიოთ და ნუ მივცემთ ამქვეყნიურ მოთხოვნილებებს იმის საშუალებას, რომ წარგვმართონ.

კიდევ ერთი მაგალითი ძველი აღთქმიდან არის სამსონის, ისრაელის მსაჯულის, ისტორია. როცა სამსონი ამქვეყანას მოევლინა, დედამისმა ის ღმერთს მიუძღვნა. ღმერთმა ის ამოირჩია იმისათვის, რომ მას ფილისტიმელებთან, ისრაელის მოწინააღმდეგეებთან, ებრძოლა. მაშინ მიღებული იყო, რომ ღვთისათვის მიძღვნილ კაცს, „მოწმიდარს“, როცა ის ღმერთის სამსახურში იდგა, თმის შეჭრის უფლება არ ჰქონდა. ყველამ იცოდა, რომ თუ მოვიდოდა კაცი გრძელი თმით, ის ღვთის „მოწმიდარი“ და ღვთის მსახური იყო. თავის დროზე სამუელის შემთხვევაშიც ასე მოხდა. არც მას ჰქონდა თმის შეჭრის უფლება (1. მეფ. 1, 11).

მარცხ.: პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი ჟოზე კალენგა ბაზას (მუხლმოყრილი) მოციქულად აკურთხებს, ხოლო მოციქულ ალფონსო აველინოს (მდგომარე) 30-წლიანი სასულიერო მოღვაწეობის შემდეგ დამსახურებულ პენსიაზე უშვებს

სამსონი ძალიან ძლიერი იყო და ფილისტიმელების წინააღმდეგ იბრძოდა. ერთ დღესაც დალილა გაიცნო, რომელიც ფილისტიმელებმა მოისყიდეს. მასთან ფილისტიმელთა მთავრები მივიდნენ და უთხრეს: „შეაცდინე იგი და ნახე, რაშია მისი დიდი ძალა, რა უნდა ვიღონოთ მის დასაძლევად და შესაკრავად, რომ დავიმორჩილოთ იგი; და თითოეული ჩვენგანი ათას ვერცხლს მოგცემს“. დალილა აძალებდა სამსონს: „მითხარი, რაშია შენი დიდი ძალა“! რამოდენიმე ხნის შემდეგ სამსონმა დაუთმო დალილას იმ მიზნით, რომ მოსწონებოდა ქალს და უთხრა: „სამართებელი არ გაჰკარებია ჩემს თავს, რადგან ღვთის მოწმიდარი ვარ დედაჩემის მუცლიდანვე; თავი რომ გადამპარსონ, ძალა გამომეცლება და უბრალო ადამიანის მსგავსი შევიქმნები“ (მსჯ. 16, 5-17). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი ძალა ღმერთთან მის შინაგან კავშირში იყო. და რა ჰქნა ქალმა? მან სამსონს დალალები დააჭრა. ესე იგი, ღმერთთან მისი კავშირის ნიშანი წაართვა. სამსონი დაუძლურდა, იგი შეიპყრეს და ფილისტიმელების მონად აქციეს. რატომ? იმიტომ, რომ არასწორი გადაწყვეტილება მიიღო მან. ქალის მისადმი კეთილგანწყობა მისთვის უფრო მნიშვნელოვანი აღმოჩნდა, ვიდრე ღვთის კეთილგანწყობა.

ჩვენ ვცდილობთ, რომ ჩვენი ადგილი დავიკავოთ საზოგადოებაში და თანამომძეებთან კარგი ურთიერთობები გვქონდეს. მაგრამ ადამიანებთან ურთიერთობა ღმერთთან ურთიერთობაზე მნიშვნელოვანი არ უნდა გახდეს ჩვენთვის. ჩვენი სურვილია, რომ ღმერთს უფრო მეტად მოვეწონოთ, ვიდრე ადამიანებს. ხანდახან ამის თქმაც კი გვიწევს: „არა, ამას არ გავაკეთებ, მოგეწონება ეს შენ თუ არა. ამას იმიტომ არ გავაკეთებ, რომ ღმერთის კეთილგანწყობა ჩემთვის უფრო მნიშვნელოვანია.“

მესამე მაგალითი ძველი აღთქმიდან: ისრაელი ღვთის რჩეული ხალხი იყო. ცხადია, ეს არ მოსწონდათ სხვა ხალხებს. ფილისტიმელები ისევ მოვიდნენ და დაამარცხეს ღვთის ხალხი. მტრებს თან ახლდა ერთი ბუმბერაზი კაცი, სახელად გოლიათი, მძიმედ შეიარაღებული, რომლის წინაშეც ყველა შიშით კრთოდა. ის აბუჩად იგდებდა ისრაელიანებს, დასცინოდა ღმერთს და ამბობდა: „გამოარჩიეთ თქვენში კაცი და ჩამოვიდეს ჩემთან. თუ გამიმკლავდება და დამამარცხებს, თქვენი მსახურები გავხდებით. თუ მე გავუმკლავდი და დავამარცხე, თქვენ გაგვიხდით მსახურებად და გვიმსახურეთ“ (1. მეფ. 8. 9). ისრაელიანებს ეშინოდათ და შიშისგან თითქმის უკვე გამხდარიყვნენ კიდეც თავიანთი მტრების მსახურნი. საბედნიეროდ, პატარა დავითი გამოჩნდა, რომელსაც არ ეშინოდა. მან იცოდა: „ღმერთთან ერთად დავამარცხებ გოლიათს“. დავითმა იხსნა თავისი ხალხი.

ხანდახან ჩვენც გვგონია, რომ სუსტები ვართ, ქვესკნელის სული კი ძლიერია; რომ მისი თეორიები დიდი ძალით ვრცელდება. მისი მიმდევრები ისეთი წარმატებულები არიან, ჩვენ კი ზოგჯერ იმდენი ჯაფა გვიწევს ცხოვრებაში. ეშმაკი იმდენ საშუალებას ფლობს, საერთოდ ვეღარ ვიცავთ თავს მისგან! - ეს ასე არ არის. შეიძლება ჩვენი მტერი ასეთი ძლიერი იყოს, მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ქრისტესთან ერთად გამარჯვებას შევძლებთ! ქრისტე უფრო ძლიერია, ვიდრე მისი მტერი! ჩვენ იესო ქრისტეს მივყვებით და ვიღებთ მის ბრძოლას ბოროტის წინააღმდეგ. მასთან ერთად მოვიგებთ ამ ბრძოლას. მოდით, ნუ გავხდებით ბოროტის მსახურნი.

ბოლო მაგალითი, რომელიც თავად იესომ მოგვცა. მან მოწაფეებს უთხრა: „როცა უწმიდური სული გამოვა ადამიანისგან, დადის ურწყულებში, ეძებს სიმშვიდეს,

ღვთისმსახურების შემდეგ პირველმოციქული შნაიდერი ადგილობნრივი მედიის კითხვებს პასუხობს

მაგრამ ვერ პოულობს. მაშინ ამბობს: დავბრუნდები ჩემს სახლში, საიდანაც გამოვედიო. მივა და იპოვის მას, დაგვილსა და მოვლილს. მაშინ წავა და მოიყვანს შვიდ სხვა სულს, თავისზე უბოროტესს, შევლენ და დასახლდებიან იქ. და იმ კაცისთვის უკანასკნელი პირველზე უარესი იქნება“ (ლუკ. 11, 24-26). აქედან სათანადო დასკვნა უნდა გამოვიტანოთ.

ნათლობისა და სულიწმიდით აღბეჭდვის მეშვეობით ჩვენი განწმენდა მოხდა. განდევნილ იქნა ბოროტი და მას აღარა აქვს ჩვენზე უფლება, ჩვენ იესო ქრისტეს ვეკუთვნით. ახლა კი ჩვენს გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული, თუ ვინ ჩასახლდება ჩვენში.

შეიძლებოდა, რომ ბოროტი სული თავის შვიდ მხლებელთან ერთად უკან დაბრუნებულიყო, ვინაიდან გული ცარიელი იყო და იქ ადგილი იყო თავისუფალი.

მოდით, იმაზე ვიზრუნოთ, რომ ჩვენს გულში სულიწმიდა ცხოვრობდეს და მთელი ჩვენი გული, მთელი ჩვენი ცხოვრებაც მისით იყოს სავსე. წინ უნდა წავიდეს განვითარება ჩვენში არსებული ახალი ქმნილებისა იესო ქრისტეში. თუ მთელი გული სულიწმიდისეული სიცოცხლით იქნება სავსე, სხვა სულები იქ ადგილს ვეღარ ჰპოვებენ. მაგრამ თუ მონათლული და სულიწმიდით აღბეჭდილი ადამიანის გული სულიწმიდით არ იქნება სავსე, მაშინ ბოროტი სულები უკან დაბრუნდებიან და ეს ადმაიანი ძალიან უბედური იქნება.

მერე ისევ მივა ადამიანთან სული, რომელიც იესოსთანაც მივიდა ცდუნებისას, და ეტყვის: „გამოიყენე შენი ღვთისშვილობა იმისათვის, რომ უკეთესად იცხოვრო ამქვეყნად.“ მიდის კაცი ღვთისმსახურებაზე, მაგრამ მას მხოლოდ ამქვეყნიური ცხოვრება ადარდებს: „საყვარელო ღმერთო, მე შენი შვილი ვარ, გააკეთე ისე, რომ გავმდიდრდე.“ ძველი სული ისევ ბრუნდება და ის წყვიტავს, თუ რაზე უნდა ვილოცოთ, რა უნდა გავაკეთოთ. ასეთი ადამიანი ცუდად არის, რადგან ხედავს, რომ არაფერი გამოდის, ახალსამოციქულო ქრისტიანია, მაგრამ ვერ მდიდრდება. ის მერე უფრო ცუდად გრძნობს თავს, ვიდრე მანამდე.

მაგ., ადამიანი მოინათლა, სულიწმიდით აღიბეჭდა, გული გაუსუფთავდა, განიწმიდა, მაგრამ სულიწმიდას მისი სწორად განვითრების საშუალებას არ აძლევს. ამ დროს სხვა სული ბრუნდება.

კიდევ ერთი მაგალითი: ადამიანს სურს, რომ რაღაცას წარმოადგენდეს თემში, ეკლესიაში. აქ საქმე მხოლოდ იმაშია, რომ ეკლესიაში ან ეკლესიის მეშვეობით საკუთარი თავის წარმოჩინება შეძლოს მან მისდა სასარგებლოდ. მღერის გუნდში, მაგრამ არა იმისათვის, რომ უფალი ადიდოს, არამედ წინა პლანზე რომ გამოჩნდეს. ანდა სულიერი ძმა აკეთებს ყველაფერს, რომ უფრო მაღალი სასულიერო წოდება მიიღოს და იმიტომ, რომ უფროსობა უნდა. ის სულის მსახურად არის ქცეული და აღარ ემსახურება უფალს. ის საკუთარი გამორჩენის მიზნით მუშაობს. ყველაფერს, რასაც აკეთებს, ქვენა აზრებით აკეთებს. ერთს გამდიდრება სურს, მეორეს თავის გამოჩენა. ეს ადამიანები სულის მონები ხდებიან და ვერ იღებენ იმას, რაც სურთ; ოდესმე იმედი გაუცრუვდებათ მათ.

ეს არის მარტივი მაგალითები იმ ადამიანებისა, რომლებიც ღმერთმა კურთხევისთვის ამოირჩია, მაგრამ მათ არასწორი გადაწყვეტილება მიიღეს. ისინი ისევ „ადამიანთა მონები“ გახდნენ.

მოდით, ქრისტეს მსახურნი და მხევალნი ვიყოთ. იესო ქრისტეს მიმართ სიყვარული მჭიდროდ გვაკავშირებს მასთან. მოდით, საკუთარი გზებით ნუ ვივლით, იესო ქრისტეს გავყვეთ. ვიცით, რომ, ვინც იესო ქრისტესთან ერთად იბრძვის, გაიმარჯვებს. ვინც იესო ქრისტეს მიჰყვება, ის ამას ამაოდ არ აკეთებს, ის საუკუნო სიცოცხლის გვირგვინს მიიღებს, უდიდეს საზღაურს, რაც კი შეიძლება არსებობდეს. ვინაიდან „ფასით ვართ ნაყიდნი“ , მოდით, იესო ქრისტეს ჭეშმარიტი მოწაფეები, მსახურები ვიყოთ. საზღაური ენით აუწერელი იქნება.

ძირითადი აზრები

მოდით, ქრისტეს მსხვერპლით გამოსყიდულებმა ყურადღება მივაქციოთ იმას, რომ

- ამქვეყნიურის მონები არ გავხდეთ;
- ღმერთს უფრო მეტად მოვეწონოთ, ვიდრე ადამიანებს;
- ნუ მოვექცევით ბოროტის ძლიერების გავლენის ქვეშ;
- საშუალება მივცეთ სულიწმიდას, რომ ჩვენი გული აავსოს.

განვითარება და არა გამეორება

უეჭველია, რომ ნათელი აძევებს ღამეს. და უფლის დღეც დადგება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ დროულად გამოვიღვიძოთ და სწორად მოვიქცეთ. ხედვები პირველმოციქულის ღვთისმსახურებიდან ასტანაში / ყაზახეთი.

ფოტო: ბერლინ-ბრანდენბურგის ა.ს.ე.

იქნება ეს შემოქმედების ისტორია თუ იესოს შობა, პეტრეს განთავისუფლება თუ პავლეს მოქცევა, „იქ, სადაც ღმერთი სუფევს, სადაც ღმერთი მოქმედებს, სინათლეა. იქ ნათელია. იქ არის ჭეშმარიტება, უსაფრთხოება, სიცოცხლე“, თქვა პირველმოციქულმა. „ამ სურათს ისევ და ისევ ვხვდებით ბიბლიაში.“

დღის სურათმა, რომელსაც მოსდევს ღამე, გასაგები უნდა გახადოს ის, რომ უფლის მეორედ მოსვლა არ დაყოვნდება: „მაშინაც კი, როცა უკუნითი ღამეა და დიდხანს გრძელდება იგი, ყველამ იცის, რომ წყვდიადი ვერ შეაჩერებს დღეს. დღე დადგება და ეს აბსოლუტურად ცხადია.“

გაფრთხილება და სიგნალი

კარგი იქნება, თუ ამას ამ მოწოდებასაც დავუმატებთ: „უნდა გამოიღვიძო.“ პავლე მოციქული 11-ე მუხლშივე მოუწოდებდა ამისკენ. პირველმოციქულმა შნაიდერმა ამაში ორი ასპექტი დაინახა:

მძინარე ვერ ამჟღავნებს რეაქციას: „ყოველ ჯერზე, როცა ვისმენთ, რომ უფალი მალე მოვა, რეაგირება უნდა მოვახდინოთ.

მოდით, ვიყოთ გულმოდგინენი: „უნდა მოვემზადო, და კიდევ რა უნდა გავაკეთო?“

მძინარე ვერ ხედავს საფრთხეს: „როცა ასე ვფიქრობთ: ‘ მე მონათლული და სულით აღბეჭდილი ვარ და ყოველ ღვთისმსახურებას ვესწრები“, მაშინ საფრთხეში ვართ.“ რადგან: „ჩვენი რწმენა ტრადიციული რწმენა არ არის. საქმე იმას კი არ ეხება, რომ მუდმივად ერთი და იგივე ვიმეოროთ, არამედ უნდა განვვითარდეთ, სულ სხვანაირები გავხდეთ.“

საქმეები და იარაღი

რომ. 13, 12-ში კიდევ ორ მოწოდებას ვხვდებით, რომლებიც მოქმედებისკენ მოუწოდებენ: „მოვიშოროთ სიბნელის საქმეები და შევიმოსოთ ნათლის საჭურველი“.

„ყველაფერი, რასაც დაფარულად აკეთებს კაცი, სიბნელის საქმეებია“, განმარტა პირველმოციქულმა: „მოდით, მარტო ჩვენს საქმეებს ნუ განვწმინდავთ, არამედ ჩვენი აზრებიც გავწმინდოთ. მოდით, დაფარულიცოდვებიც დავძლიოთ, რომლებიც არავინ იცის და რომლებსაც ვერავინ ხედავს. მაგრამ უფლისათვის ისინი ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სხვა დანარჩენი.“

ოფიციალური მიღება მშვიდობიანი რელიგიური დიალოგისათვის ხელშეწყობის მიზნით: ღვთისმსახურების შემდეგ პირველმოციქული ჟან-ლუკ შნაიდერი სახელმწიფო ორგანოების, სხვა ეკლესიებისა და ისლამის წარმომადგენლებს შეხვდა.

ნათლის საჭურველი თავდაცვის მიზნითაც გამოიყენება და შეტევისთვისაც:

დაე, რწმენამ დაგვაძლევინოს ის აზრი, რომ ღმერთმა დაგვივიწყა: „შუაღამეც რომ იყოს, უნდა გამოვიღოთ ეს იარაღი და ვუთხრათ ბოროტს: ‘მე მწამს იმის, რომ ღმერთს ვუყვარვარ!“

„სიყვარულია ის ერთადერთი იარაღი, რომელიც არავის აზიანებს, მაგრამ ყოველთვის იმარჯვებს“. დაე, თავდაცვას ემსახუროს იგი მაშინ, „როცა თავს გვესხმიან ჩვენი მოყვასის უძლურების გამო.“ და: „ამ იარაღით ვიბრძვით ჩვენი მოყვასის ხსნისათვის.“

დაე, იმედმა დაამარცხოს სასოწარკვეთილება: „ჩვენ მომავალი დიდებით ვართ დაკავებულნი. - ვიბრძვით ჩვენი ხსნისათვის, ვინაიდან ვიცით, რომ ეს ყოველთვის ღირებულია.“

„ჩვენ თავს ვიცავთ და ვიბრძვით ბოროტის წინააღმდეგ რწმენით, სიყვარულითა და იმედით“, თქვა პირველმოციქულმა ბოლოს: „ჩვენი გამარჯვება უდავოა. ვინც ქრისტესთან ერთად იბრძვის, ყოველთვის იმარჯვებს.“

იესო გეთსემანიის ბაღში ლოცულობს

(მარკ. 14, 16-43)

პასექის დღესასწაულზე იესომ თავის მოწაფეებთან ერთად უკანასკნელი სერობა გამართა. იესომ იცოდა, რომ მალე გასცემ̣დნენ და სამსხვერპლო სიკვდილით მოკვდებოდა. მოწაფეებთან ერთად იგი ზეთისხილის მთისკენ გაემართა.

გეთსემანიის ბაღისკენ რომ მიდიოდნენ, იესომ მოწაფეებს უთხრა: „რამოდენიმე საათში ყველა მიმატოვებთ. დიდი ხნის წინ წინასწარმეტყველმაც კი იუწყა, რომ მოკლავდნენ რა მწყემსს, ცხვრები გაიფანტებოდნენ. მაგრამ სიკვდილის შემდეგ აღვდგები და კვლავაც გეჩვენებით.“
პეტრე შეეპასუხა: „ყველამ რომ უარგყოს, მე მაინც არ დაგტოვებ.“
იესომ კი მიუგო: „ამაღამ, სანამ მამალი ორჯერ იყივლებდეს, სამჯერ უარყოფ, რომ მიცნობ.“
პეტრემ წამოიძახა: „უმალ შენთან ერთად მოვკვდები, ვიდრე ამას გავაკეთებ.“
სხვა მოწაფეებიც დაეთანხმნენ პეტრეს.
როცა გეთსემანიის ბაღში მივიდნენ, იესომ მოწაფეებს უთხრა, რომ სანამ ის ილოცებდა, ისინი იქ დარჩენილიყვნენ.



პეტრე, იაკობი და იოანე კი
თან წაიყვანა.
იესო სასიკვდილოდ წუხდა.
სამივეს მიმართა და უთხრა:
„იფხიზლეთ და ილოცეთ.“
თვითონ „ცოტა გაიარა,
დაემხო მიწაზე და
ლოცულობდა“: „მამაო, თუ
ეს შესაძლებელია, ამაცილე
ტანჯვის ეს სასმისი. მაგრამ
ის კი არ უნდა მოხდეს, რაც
მე მსურს, არამედ ის, რაც შენ
გსურს.“
როცა უკან დაბრუნდა,
მოწაფეები ჩაძინებული ნახა.
გააღვიძა პეტრე: „გძინავს? ვერ
შესძელი, რომ ერთი საათი
მაინც გეფხიზლა? იფხიზლეთ
და ილოცეთ.“
იესო ისევ გაშორდა მათ
და იმავე სიტყვებით
ლოცულობდა.

როცა დაბრუნდა, მოწაფეებს
ისევ ეძინათ. „თვალები
დამძიმებოდათ და არ
იცოდნენ, რა ეპასუხათ
მისთვის.“
მესამედ ილოცა იესომ მარტო
- პეტრეს, იაკობს და იოანეს
კვლავაც ჩაეძინათ.
გააღვიძა და უთხრა მათ, რომ
დადგა ჟამი, როცა გასცემდნენ
მას.
ამ დროს მათ უკვე
უახლოვდებოდნენ იუდა,
გამცემი, და შეიარაღებული
ხალხის გუნდი, რათა
შეეპყროთ იგი.

გეთსემანია ნიშნავს ზეთისხილის
დაპრესვის ხელსაწყოს. ეს არის
ზეთისხილის ბაღი ბევრი ზეთისხილის
ხეებით და მდებარეობს იერუსალიმის
შემოგარენში, ზეთისხილის მთის ძირში.

მირელა ფორტუნატო

სტუმრად ელბერტთან ჯოკიაკარტაში (ინდონეზია)

ფოტო: პირადი

მე მქვია ელბერტი და ვარ თერთმეტი წლის. ვცხოვრობ ჯოკიაკარტაში ინდონეზიის კუნძულ იავაზე. სამ ძმაში ყველაზე უმცროსი ვარ, ჩემი უფროსი ძმა 22 წლისაა, მეორე კი - 18-ის.

ყოველ დღე ველოსიპედით დავდივარ სკოლაში, საბედნიეროდ, ის მხოლოდ რამოდენიმე ასეული მეტრით არის დაშორებული ჩვენი სახლიდან. მეხუთე კლასში ვარ, ყველაზე მეტად საბუნებისმეტყველო საგნები მიყვარს. კვირაში ერთხელ ვიოლინოს გაკვეთილზეც დავდივარ ველოსიპედით.

ნაშუადღევს გაკვეთილებს ვაკეთებ, მერე კი დედას ვეხმარები სახლის დალაგებაში. ჩემი ჰობი ვიოლინოზე დაკვრა და კითხვაა. მიყვარს წიგნები ცნობილ ადამიანებზე.

კვირა დილით საკვირაო სკოლაში მივდივარ, იქ ბევრი მეგობარი მყავს. მომწონს ეკლესიაში გალობა. ღვთისმსახურებაზე ზოგჯერ ჩემი ვიოლინოთი ვუწევ ხოლმე გუნდს აკომპანიმენტს.

მამაჩემი მოციქულად მსახურობს ეკლესიაში. მე ის ძალიან მიყვარს და ყოველთვის ვლოცულობ მისთვის, როცა გზაშია. ზოგჯერ მეც მივყავარ ხოლმე, მაგ. კედოიას თემში ჯაკარტაში. ინდონეზიის თემებში ხშირად არ არის ორღანი, მის ნაცვლად ბამბუკის ინსტრუმენტებისგან შემდგარი ორკესტრი უკრავს.

მთელი წლის განმავლობაში სიხარულით ველოდები საბავშვო დღეს. იქ ბევრ სხვა ბავშვს

ვხვდები და ვთამაშობ მათთან. იმის გამო, რომ მამაჩემის მზრუნველობის ქვეშ რამოდენიმე მხარე იმყოფება, მე ჯოკიაკარტაში, დასავლეთ იავაში, ჯაკარტასა და პანტაი-უტარა იავაში ჩატარებულ საბავშვო დღეებში შემიძლია მონაწილეობის მიღება. ფოტოსურათებით მიხვდებით, თუ რამხელა სიამოვნებას მანიჭებს ეს მე.

ჯოკიაკარტაში უამრავი ტურისტი ჩამოდის, მაგრამ ასევე ბევრი სტუდენტიც მთელი ინდონეზიიდან, რადგან აქ ბევრი უნივერსიტეტია. შიგ ქალაქში სულთანის სასახლის დათვალიერება შეიძლება. თუ ჩრდილოეთის მიმართულებით 30 კმ-ს გავივლით, მერაპის მთას დავინახავთ, ის ყველაზე აქტიური ვულკანია მსოფლიოში. ჯოკიაკარტას სამხრეთით, დაახ. 40 კმ-ზე, არაჩვეულებრივი სანაპიროებია. მე ხშირად დავდივარ იქ.

ჩემი საყვარელი საჭმელია შემწვარი ბრინჯი იავაიურად - Nasi Goreng, ან მაგელანგანი - შემწვარი ბრინჯისა და ნუშის ნარევი. ამას ვაყოლებ ჯანჯაფილის ჩაის.

არდადეგებზე ბიძაჩემს ვსტუმრობ ხოლმე ჯაკარტაში, ინდონეზიის დედაქალაქში. იქ ბევრი საინტერესო რამის დათვალიერება შეიძლება. ერთხელ ბოტანიკურ ბაღში ვიყავი. იქ ფრინველების პარკიც არის უცნაური ჩიტებით. ერთ-ერთმა მათგანმა მხარზე გადამიფრინა, რაც ძალიან ამაღელვებელი იყო!

მირელა ფორტუნატო

ფოტო: © zhu difeng - Fotolia.com

მოძღვრება მომავალის შესახებ

2015 წელს გამოვიდა ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმო კითხვებისა და პასუხების ფორმით. მთლიანობაში 750 კითხვისა და პასუხისაგან „კომიუნიტი“ ამონარიდის სახით რამოდენიმე კითხვასა და პასუხს წარმოგიდგენთ - ამ გამოცემაში საუბარი იქნება „მოძღვრებაზე მომავლის შესახებ“ და „ქრისტიანობის ისტორიაზე“.

მომავლის რომელი მოვლენა წარმოადგენს ახალსამოციქულო ქრისტიანის რწმენის მიზანს?
იესო ქრისტე მეორედ მოვა - ეს არის სახარების მთავარი სიტყვები. იესოს ამაღლებიდან მოყოლებული მოციქულები უფლის მეორედ მოსვლას იუწყებიან. ახალსამოციქულო ქრისტიანის რწმენის მიზანს წარმოადგენს ის, რომ ამ მოვლენის დროს უფალმა ის მიიღოს.

ვისგან მოდის იესო ქრისტეს მეორედ მოსვლის აღთქმა?
იესო ქრისტემ თავად აღუთქვა მოციქულებს: „როცა წავალ და ადგილს გაგიმზადებთ, ისევ მოვალ და ჩემთან წაგიყვანთ, რათა, სადაც მე ვარ, თქვენც იქ იყოთ“ (იოან. 14, 3). იესოს ეს აღთქმა ანგელოზებმა დაადასტურეს მისი ზეცად ამაღლების დროს: „ეს იესო, რომელიც თქვენგან ამაღლდა ზეცად, კვლავ მოვა ისევე, როგორც ზეცად აღმავალი იხილეთ“ (საქმე 1, 11).

ვინ იცის ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამი?
ის, თუ რომელ დღეს და რომელ საათს მოვა იესო ქრისტე მეორედ, არც ადამიანებმა იციან და არც ანგელოზებმა, იცის მხოლოდ სამერთმა ღმერთმა.

რას ნიშნავს ქრისტეს მეორედ მოსვლის აღთქმა ჩვენთვის?
ის, რომ იესო ქრისტე მეორედ მოვა და სასძლო თემს თავისთან წაიყვანს, სახარების რწმენის ერთ-ერთი ფუნდამენტალური შემადგენელი ნაწილია. მან თავად დადო თავისი მეორედ მოსვლის აღთქმა (შევ. იოან. 14, 3).

რატომ გვჯერა იმისა, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლა მოახლოებულია?
ის, რომ სამოციქულო სამსახური კვლავაც აღდგა, იმის ნიშანია, რომ ქრისტეს მეორედ მოსვლა ახლოა. უფლის ამ აღთქმის აღსრულების მოლოდინი ახალსამოციქულო რწმენის ყურადღების ცენტრშია დღესაც ისევე, როგორც ცალკეული ადამიანის

იმედი იმისა, რომ პირადად განიცადოს ქრისტეს მეორედ მოსვლა და მისკენ ზეატაცება.

როგორ მიმდინარეობს ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის მომზადება?

მოციქულები სიტყვისა და საიდუმლოს მეშვეობით ამზადებენ მორწმუნეებს ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის. ეს უკანასკნელნი შეგნებულად წარმართავენ თავიანთ ცხოვრებას ამ მიზნისკენ.

რა მოხდება ქრისტეს მეორედ მოსვლის დროს?

პავლე მოციქულის გამონათქვამებიდან ჯამში ვასკვნით: უფლის მეორედ მოსვლისას ჯერ ქრისტეში მკვდრები აღდგებიან უხრწნელად. ცოცხლები კი, რომლებიც ქრისტეს მოსვლისათვის მოემზადნენ, შეიცვლებიან ხორციელი სიკვდილის განცდის გარეშე. მკვდრებიცა და ცოცხლებიც განდიდებულ სხეულს მიიღებენ. ეს სხეული ქრისტეს აღდგომის სხეულის მსგავსი იქნება. ისინი ერთად აღიტაცებიან იესო ქრისტესთან და ამგვარად, სამერთ ღმერთთან საუკუნო თანაზიარებაში მოხვდებიან. ეს მოვლენები პირველ აღდგომას განეკუთვნება, რომელზედაც გამოცხადებაშია (20, 5. 6) ლაპარაკი.

ვინ იქნება ზეატაცებული ქრისტეს მეორედ მოსვლის დროს?

ზეატაცება ქრისტეს მეორედ მოსვლისას ჯერ იმათ აქვთ აღთქმული, რომლებიც წყლისა და სულისაგან ხელახლა დაბადებას ეზიარნენ, და რომლებსაც სწამთ იესო ქრისტესი და მისდევენ მას. ამ გუნდს „სასძლო თემს“ ანდა „ძეს, ვაჟს“ (გამოცხ. 12, 5) უწოდებენ. ღმერთი მათ გარდა სხვებსაც უწყალობებს თუ არა ზეატაცებას, ეს ადამიანის განსჯის უნარს აღემატება და ღმერთის გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული.

არსებობს თუ არა დამახასიათებელი ნიშანი იმათთვის, ვინც სასძლო თემს განეკუთვნება?

დიახ - გამორჩეული ნიშანი არის ის, რომ ისინი ყოველ დღე ელოდებიან ქრისტეს მეორედ მოსვლას და მუდმივად ლოცულობენ: „უფალო, მოდი მალე!“ (შევ. გამოცხ. 22, 17, 20).

რა მოვლენებს მოიცავს პირველი აღდგომა?

პირველი აღდგომისას „ქრისტეში მკვდრები“ აღდგებიან და ცოცხლებთან ერთად, რომლებიც სასძლო თემს განეკუთვნებიან, ზეცად იქნებიან ატაცებულნი. „ზეცაში ქორწილის“ შემდეგ კი „დიდი გლოვის ჟამს“ წამებულები აღდგებიან და სამეფო სამღვდელობის რიგებში ჩადგებიან. ამ ორივე მოვლენას „პირველ აღდგომას“ უწოდებენ: „ნეტარი და წმიდაა ის, ვისაც აქვს წილი პირველ აღდგომაში. მასზე ხელმწიფება არ აქვს მეორე სიკვდილს, არამედ ისინი იქნებიან მღვდლები ღვთისა და ქრისტესი და იმეფებენ მასთან ერთად ათას წელს“ (გამოცხ. 20, 6).

რა მოჰყვება პირველი აღდგომის დასასრულს?

პირველი აღდგომის დასრულების შემდეგ ქრისტე მშვიდობის სამეფოს დაამყარებს დედამიწაზე და „ათას წელს“ იმეფებს (გამოცხ. 20, 6). „ათასი წელი“ ხანგრძლივ, მაგრამ მაინც შეზღუდულ დროის სიმბოლოს წარმოადგენს.

რა მოხდება დედამიწაზე მშვიდობის სამეფოს პერიოდში?

მშვიდობის სამეფოს პერიოდში იესო ქრისტე სამეფო სამღვდელოებასთან ერთად შეუფერხებლად იუწყებს სახარებას. სახარებას უქადაგებენ დედამიწაზე მყოფ ყველა ცოცხალ ადამიანს და ასევე ყველა სულს განსვენებულთა სფეროებიდან. მშვიდობის სამეფოს დასასრულს ყველა დროის ყველა ადამიანს ეცოდინება იესო ქრისტეს სახარება.

რა მოუვათ იმათ, ვინც უკანასკნელ სამსჯავროში მოხვდებიან?

ისინი, ვისაც უკანასკნელ სამსჯავროში შეიწყალებენ,
- პირველი აღდგომის მონაწილეებთან ერთად
- ახალი ღვთიური შემოქმედების მკვიდრები გახდებიან. მერე ყველას ექნება უფლება იმისა, რომ ღმერთთან საუკუნო თანაზიარება ჰქონდეთ. სხვები ღვთისგან სიშორის გამო გაჭირვებაში დარჩებიან. .

რა არის ნათქვამი ბიბლიაში ახალი შემოქმედების შესახებ?

უკანასკნელი სამსჯავროს შემდეგ ღმერთი ძველ შემოქმედებას ახლით ჩაანაცვლებს: „ის [ღმერთი] დამკვიდრდება მათ შორის, ისინი იქნებიან მისი ერი და თვით ღმერთი იქნება მათთან“ (გამოცხ. 21, 3). ამით აღსრულდება მოლოდინი, რომელიც 2. პეტ. 3, 13-შია გამოხატული: „ხოლო ჩვენ მისი აღთქმისამებრ მოველით ახალ ცასა და ახალ მიწას, სადაც დამკვიდრებულია სიმართლე“. ღვთის ეს სასუფეველი საუკუნო იქნება; მაშინ ღმერთი „ყველაფერი ყველაფერში“ იქნება (შევ. 1. კორ. 15, 28).

სარედაქციო კოლეგია:
გამომცემელი: ჟან-ლუკ შნაიდერი, იუბერლანდსშტრასე 243, CH-8051 ციურიხი, შვეიცარია
გამომცემლობა ფრიდრიხ ბიშოფი, შპს.
ფრანკფურტერშტრასე 233, 63263 ნოი-იზენბურგი/გერმანია
მთავარი რედაქტორი: პეტერ იოჰანინგი

ქრისტიანობის ისტორიიდან

როგორ წარმოიშვა პირველი ქრისტიანული თემები?
პირველი ქრისტიანული თემი ორმოცდაათობაზე შეიქმნა იერუსალიმში (შევ. საქმე 2, 37) და მხოლოდ ებრაელებისგან შედგებოდა. დევნის გამო ბევრი მორწმუნე გაიქცა იერუსალიმიდან (შევ. საქმე 8, 1; 11, 19). ისინი ახალ გარემოშიც სახარებას იუწყებოდნენ და იქაც ჰპოვეს რწმენა. ასე ჩამოყალიბდა ქრისტიანული თემები სხვა ადგილებშიც.

როგორ განვითარდა ქრისტიანობა II საუკუნიდან?
ის, რაც სტეფანე დიაკვნის ჩაქოლვით დაიწყო, დევნის ახალ ტალღაში გადაიზარდა: ბევრი ქრისტიანი დახოცეს რწმენის გამო. ისინი წამებულები გახდნენ. მიუხედავად დევნისა და წინააღმდეგობებისა, ქრისტიანული რწმენა რომის მთელ იმპერიაში გავრცელდა.

როგორ მიმდინარეობდა ქრისტიანობის განვითარება შუასაუკუნეებამდე?
ქრისტიანობა ევროპასა და აზიაში ხალხთა დიდი გადასახლების დროს (IV/V საუკუნეებში) მომძლავრდა. ქრისტიანობის გავრცელებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბერ-მონაზვნობამ, რომელიც თავდაპირველად ეგვიპტეში წარმოიშვა III საუკუნეში. ბერების მთავარ ამოცანას, ქრისტეს მაგალითისამებრ, სიღატაკეში ცხოვრება და ქრისტიანული რწმენის გავრცელება წარმოადგენდა. შუასაუკუნეებში ბერებმა და მონაზვნებმა არაერთხელ აჩვენეს შესანიშნავი შედეგები მეცნიერებაში და აქტიურად მონაწილეობდნენ სოფლის მეურნეობასა და სოც. უზრუნველყოფის სფეროში. ქრისტიანობა სულ უფრო მეტად განსაზღვრავდა ადამიანთა ცხოვრებას, ასევე კულტურას, პოლიტიკას და ევროპულ საზოგადოებას. 1054 წელს მოხდა ეკლესიის ორად გახლეჩა: დასავლეთის (რომაულ-კათოლიკურ) და აღმოსავლეთის (ორთოდოქსულ) ეკლესიებად.

რასთან დაპირისპირება მოუწია ქრისტიანებს VII საუკუნიდან მოყოლებული?
VII საუკუნიდან დაწყებული აზიის, აფრიკისა და ევროპის გარკვეულ ნაწილებში ქრისტიანებს ახალ რელიგიასთან, ისლამთან, დაპირისპირება მოუწია. ქრისტიანულმა რწმენამ ბევრი ტერიტორიული მხარე დაკარგა, მაგ. წინა აზია და ჩრდ. აფრიკა. საქმე ბრძოლებამდე მივიდა, მაგ. ჯვაროსნულ ლაშქრობებამდე. ჯვაროსნული ლაშქრობები აღმოსავლეთში მიმდინარეობდა 1095-1270 წწ-ში და მიზნად ისახავდა იერუსალიმისა და წმიდა მიწის ქრისტიანობისათვის მოპოვებას.

რატომ მივიდა საქმე ეკლესიის რეფორმის განხორციელების მცდელობამდე?
შუასაუკუნეებში ეკლესია შინაგანად სულ უფრო მეტად საერო ხდებოდა (სეკულარიზაციისკენ მიდიოდა) - რწმენა და მოძღვრებაც თანდათან კარგავდა ღირებულებას. ამის მიზეზი სახარებაზე ორიენტირების ნაკლებობა იყო. ამიტომაც მოიმატა ეკლესიის რეფორმის ჩატარების მცდელობამ. ეკლესიის რეფორმას, ერთი მხრივ, ბერები ცდილობდნენ, მეორე მხრივ, ისეთი ადამიანები, როგორებიც იყვნენ ფრანგი პიერ ვალდესი (დაბ. 1140 წ., გარდაიცვალა 1218 წლამდე), ინგლისელი თეოლოგი ჯონ უიკლიფი (1330-1384 წწ.) და პრაღის უნივერსიტეტის რექტორი იან ჰუსი (1369-1415 წწ.). ისინი ყველა დაუღალავად აკრიტიკებდნენ ეკლესიის სეკულარიზაციას. მათ მიერ წაქეზებული და მათივე თანხლებით მიმდინარე მოძრაობები ევროპის დიდ ნაწილებს მოედო და, საბოლოო ჯამში, საქმე რეფორმაციამდე მივიდა.

რა არის რეფორმაცია?
რეფორმაცია (ლათინური„reformatio“: აღდგენას, განახლებას ნიშნავს) არის მოძრაობა რელიგიური განახლებისათვის ევროპაში, რომლის საფუძველსაც სახარებისკენ მიბრუნების სურვილი წარმოადგენს. ეს მოძრაობა მჭიდროდ უკავშირდება გერმანელი ბერის მარტინ ლუთერის სახელს (1483-1546 წწ.). მისი ღრმა რწმენით, მოძღვრების ერთადერთი საფუძველი იესო ქრისტეზე ბიბლიური მოწმობაა. ლუთერმა გერმანულად თარგმნა ბიბლია ებრაული და ბერძნული ენებიდან და ამდენად, ხალხისათვის მისაწვდომი გახადა იგი. ანგლიკანური სახელმწიფო ეკლესია კი დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა ინგლისში.

რა მდგომარეობაში იყო ქრისტიანობა XIX საუკუნეში?
XIX საუკუნეში იყო მცდელობა იმისა, რომ ადამიანები, რომელთათვისაც ქრიტიანული რწმენა მათი სიღატაკისა და უმეცრების გამო უცხო გამხდარიყო, ისევ სახარებისკენ მოებრუნებინთ („შინაგანი მისია“). გარდა ამისა, დაარსდა „მისიონერული საზოგადეობანი“: ისინი ქრისტიანობის შემდგომ გავრცელებაზე ზრუნავდნენ არაევროპულ ქვეყნებში, უპ. ყოვლისა, აფრიკაში.

რა მნიშვნელოვანი წინსვლა იყო XIX საუკუნის ქრისტიანობაში?
ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა - პროტესტანტიზმის შიგნით, უპ. ყოვლისა, ინგლისსა და აშშ-ში - ე. წ. „სულიერი აღორძინების“ მიმდინარეობას. მორწმუნე ქრისტიანები იმისკენ მოუწოდებდნენ, რომ ხალხი „ტრადიციული ქრისტიანობიდან“ ცოცხალი ქრისტიანული რწმენისკენ მიბრუნებულიყო. სახარების შემეცნებისკენ ეს მოწოდება ხშირად ქრისტეს მეორედ მოსვლის იმედს უკავშირდებოდა. სწორედ ამ ისტორიულ ფონზე განაახლა ღმერთმა მოციქულთა მოღვაწეობა.

როგორ მოხდა მოციქულის სასულიერო თანამდებობის აღდგენა XIX საუკუნეში?
1826-1829 წწ-ში მორწმუნე კაცები კონფერენციებზე იკრიბებოდნენ ოლბერიში (სამხრ. ინგლისი), რათა ერთად ემუშავათ იოანეს გამოცხადებაზე. ამ კონფერენციებს იწვევდა ბანკირი ჰენრი დრიუმონდი (1786-1860 წწ.) ედვარდ ირვინგთან ერთად (1762-1834 წწ.), რომელთანაც მჭიდროდ თანამშრომლობდა და, რომელიც შოტლანდიის ნაციონალური ეკლესიის სასულიერო პირი იყო. კონფერენციის მონაწილეების სურვილი იყო, მეტი სიცხადე შეეტანათ სულიწმიდის ზემოქმედებასა და ქრისტეს მეორედ მოსვლასთან დაკავშირებულ ბიბლიურ გამონათქვამებში. სულიწმიდის გაძლიერებულ ზემოქმედებას შოტლანდიაშიც ელოდებოდნენ სხვადასხვა კონფესიების მორწმუნენი. მათ შორის დიდი ყურადღება ექცეოდა სნეულთა განკურნებებს, სხვადასხვა ენებზე ლაპარაკს (უცნობ ენებზე ლაპარაკს) და წინასწარმეტყველებებს. 1832 წლის შემოდგომაზე ლონდონში ჯონ ბეიტ კარდეილი (1802-1877 წწ.) სულიწმიდის მიერ მოციქულად იქნა მოწოდებული და ჰენრი დრიუმონდმა მოციქული უწოდა მას. 1833 წლის სექტემბრიდან წინასწარმეტყველების მეშვეობით - უპ. ყოვლისა, წინასწარმეტყველ ოლივერ ტაპლინის მეშვეობით (1800-1862) - მოწოდებულ იქნა დანარჩენი 11 მოციქული.

როგორ წარმოიშვა კათოლიკურ-სამოციქულო ეკლესია?
1835 წ. მოციქულები უკან დაბრუნდნენ ოლბერიში ერთი წლით, რათა ერთობლივი და ინტენსიური თათბირები ჩაეტარებინათ. მათ შეიმუშავეს „დიდი მოწმობა“ („დიდი ტესტიმონიუმი“), საღმსარებლო ტრაქტატი, რომელიც ქრისტიანული სამყაროს ყველა სასულიერო და საერო წინამძღოლს გაუგზავნეს. ამ ტრაქტატში მოციქულები ქრისტიანებს მათი ხელმძღვანელობის ქვეშ შეკრებისა და ქრისტეს მეორედ მოსვლისათვის მომზადებისკენ მოუწოდებდნენ. მაშასადამე, მათ ახალი ეკლესიის დაარსება კი არ უნდოდათ, არამედ უკვე არსებული სხვადასხვა ეკლესიების მოციქულთა ხელმძღვანელობის ქვეშ მოქცევა. მაგრამ ქრისტიანთა უმრავლესობამ არ მიიღო მოციქულთა ეს მოწოდება. ქრისტიანების მცირე რაოდენობა, რომლებსაც მოციქულების სწანდათ, ახალ ეკლესიაში გაერთიანდა, კერძოდ, კათოლიკურ-სამოციქულო ეკლესიაში.

როგორ წარმოიშვა ახალსამოციქულო ეკლესია?
1862 წლის 10 ოქტომბერს კიონიგსბერგში მღვდელი რუდოლფ როზოჩეკი (1815-1894 წწ.), იქაური კათოლიკურ-სამოციქულო თემის წინამძღვარი, მოციქულ გეიერის მიერ მოციქულად იქნა წარდგენილი. კათოლიკურ-სამოციქულო ეკლესიის მოციქულებმა არ აღიარეს ეს მოწოდება. თუმცა წინასწარმეტყველი ჰაინრიხ გეიერი და ჰამბურგის კათოლიკურ-სამოციქულო ეკლესიის ხელმძღვანელი, ფრიდრიხ ვილჰელმ შვარტცი (1815-1895 წწ.), დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ეს მოწოდება სულიწმიდის საქმე იყო. 1863 წლის 4 იანვარს ჰამბურგის თემმა აღიარა მოციქულად ეს მოწოდება, რის შემდეგაც იგი გარიცხულ იქნა კათოლიკურ-სამოციქულო ეკლესიიდან. ამდენად, 1863 წლის იანვარში სათავე დაედო ახალსამოციქულო ეკლესიას. და როცა ცოტა ხნის მერე მოციქული როზოჩეკი თავისი სასულიერო თანამდებობიდან გადადგა, გეიერი, შვარტცი და ჰამბურგის თემი მაინც მტკიცედ იცავდნენ იმას, რომ ეს ღვთიური მოწოდება იყო.

ფოტო: პეტერ ოჰანიწი

ფოტო: ფრანკ შულდტი

მკვდრების დახმარება ღვთიური ნების გამოხატვას ნიშნავს

ყველა ეკლესიაში აღინიშნება გარდაცვლილ ნათესავთა მოსაგონარი დღე - მეტ-ნაკლებად გამოკვეთილად. ზოგიერთი მართლმადიდებელი თემი ამ დღეს საფლავზე აღნიშნავს პურითა და ნაზუქით, სხვა ეკლესიები მოსაგონარ ღვთისმსახურებებს ატარებენ. ახალსამოციქულო ეკლესია კი წელიწადში სამჯერ ატარებს ღვთისმსახურებას განსვენებულთათვის.

„ღვთისმსახურებანი განსვენებულთათვის ტარდება წელიწადში სამჯერ - ყოველთვის მარტის, ივლისისა და ნოემბრის პირველ კვირა დღეს“- ნათქვამია ახალსამოციქულო ეკლესიის კატეხიზმოში (კატ. 12. 1. 3). ამდენად, აღწერილია ის პრაქტიკა, რომელიც, მართალია, პირველად ეკლესიის ისტორიაში დაკონკრეტდა, მაგრამ თავიდანვე არსებობდა. ჯერ კიდევ მოციქული ფრიდრიხ-ვილჰელმ შვარტცი (1815-1895 წწ.) იყენებდა ამ პრაქტიკას. მოციქულის ადრეულ სამოგზაურო ანგარიშებში ხშირად ვხვდებით კონკრეტულ მითითებასაც კი იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენი ცოცხალი და რამდენი გარდაცვლილი აღიბეჭდა სულიწმიდით.

თანამედროვე პრაქტიკა - ე. ი. წელიწადში სამი ღვთისმსახურება განსვენებულთათვის - უკავშირდება იმჟამინდელ პირველმოციქულ იოჰან-გოტფრიდ ბიშოფის 1954 წლის განკარგულებას. ამ განკარგულების მიხედვით განსვენებულთა სულებმა კვირაობით მოციქულთაგან წმიდა ზიარება უნდა მიიღონ, ხოლო წელიწადში სამჯერ განსაკუთრებული ღვთისმსახურებანი უნდა ჩატარდეს, რომლის დროსაც ხსნის მსურველ სულებს საიდუმლოები მოეფინებათ.

ძველი ეკლესიის ტრადიცია

ღვთისმსახურება განსვენებულთათვის ნიშნავს მათთვის საიდუმლოთა გადაცემას - ყოველ შემთხვევაში იქ, სადაც პირველმოციქული ან

სამხ. მოციქული ატარებს ღვთისმსახურებას. სხვა დანარჩენ თემებში ეს მოსახსენებელი ღვთისმსახურებაა.

კატეხიზმო ძველი ეკლესიის ტრადიციაზე მიუთითებს: „ჯერ კიდევ კორინთოს თემში ნათლავდნენ ცოცხლებს მკვდართა ნაცვლად (1. კორ. 15, 29). ეს პრაქტიკა გრძელდება განსვენებულთათვის იმ ღვთისმსახურებებზე, რომლებსაც პირველმოციქული და სამხ. მოციქულები ატარებენ: ამ დროს ორი მღვდელმსახური გარდაცვლილთათვის წყლით წმიდა ნათლობას იღებს, აღიბეჭდება სულიწმიდით და ეზიარება. ეს საიდუმლონი ჩვეულებისამებრ ტარდება. სხვა დანარჩენ თემებში განსვენებულებს წმიდა ზიარების შემდეგ იხსენებენ მათთვის განკუთვნილ ლოცვაში.“

ხსნის ღვთიური შემოთავაზება ყველას ეხება

ახალსამოციქულო ეკლესიის წელიწდეულში ღვთისმსახურებებს განსვენებულთათვის განსაკუთრებული ადგილი უკავია. თემი ყოველთვის ერთი კვირით ადრე ემზადება ამ ღვთისმსახურებისათვის. გარდაცვლილთათვის შუამდგომლობითი ლოცვის იმპულსი გულმოწყალება და თანაგრძნობა უნდა იყოს. დილაობით ქადაგების საფუძველი დაახ ასეთი იყო: „მოდით, თაყვანი ვცეთ და შეუვრდეთ, მუხლი მოვიდრიკოთ ჩვენი შემქმნელი უფლის წინაშე “ (ფსალ. 94, 6).

ამ სიტყვებით მოუწოდებდნენ იმჟამად მლოცველ თემს, რომ თაყვანი ეცათ ღვთისათვის, რომელმაც შექმნა სამყარო და თავისი სუვერენიტეტისკენ წარმართავს მას. ამგვარი განწყობა აუცილებელია იმ კვირა დღისთვისაც, როცა განსვენებულთათვის ტარდება ღვთისმსახურება. და ბოლოს, ღრმად უნდა სწამდეს ადამიანს იმისა, რასაც ვერ ხედავს და რასაც ვერც საბუნებისმეტყველო მეცნიერებები ხსნის. ჩვენი შეზღუდულობის მიუხედავად ძალაშია შემდეგი: ხსნა ერთნაირად ეხება ცოცხლებსაც და მკვდრებსაც - ასეთია ღვთის ნება.

მოციქულობა აუცილებელია

ადრეულ, მოციქულობის შემდგომი დროის, ეკლესიამ მკვდართა ნაცვლად ცოცხლებისათვის საიდუმლოთა მოფენასთან მიმართებაში უარყოფითი პოზიცია დაიკავა და ბოლოს, 397 წ., კართაგენის 3-ე საეკლესიო კრებაზე მისი ჩატარება საერთოდ აიკრძალა. ახალსამოციქულო თვალსაზრისით, ეს გასაკვირი სულაც არ არის, ვინაიდან მხოლოდ 1830-იან წლებში, როცა მოციქულის სასულიერო თანამდებობა აღდგა, გახდა შესაძლებელი ამ უძველესი ქრისტიანული პრაქტიკის კვლავ განხორციელება.

ახალსამოციქულო კატეხიზმო ხაზს უსვამს მოციქულის სასულიერო თანამდებობის მნიშვნელობას საიდუმლოთა მოფენისათვის: „იესოს დავალებას: იუწყონ სახარება, მიუტევონ ცოდვები და მოჰფინონ საიდუმლონი, მოციქულები ასრულებენ ცოცხლებზეც და მკვდრებზეც. ისინი ქრისტეს მაგიერ და მისი სახელით მოქმედებენ. როგორც იესო ქრისტემ გაიღო თავი მსხვერპლად დედამიწაზე, ასევე ხდება ამქვეყნად ხსნის გადაცემა მოციქულთა მიერ. იმის გამო, რომ საიდუმლოებს მუდამ აქვს ხილული მხარე, მათი მოფენაც მხოლოდ ხილულ სფეროებშია შესაძლებელი. საიდუმლოთა ზემოქმედება, როგორც ხსნის გადაცემის მთავარი ელემენტებისა, ცოცხლებისთვისაც და მკვდრებისთვისაც ერთნაირია“ (კატ. 9. 6. 3).

არავითარი სპირიტიზმი

ახალსამოციქულო ღვთისმსახურებებზე განსვენებულთათვის საკრამენტალური მიმართვა სპირიტიზმში არ უნდა აგვერიოს. აქ იმაზე არ არის ლაპარაკი, რომ იმქვეყნიურ სამყაროში ჩახედვის შესაძლებლობა მოგვეცეს; არც იმაზე, რომ იმქვეყნიურ სამყაროზე ცოდნა მივიღოთ, არც მკვდართა მდგომარეობაზე. საიქიო არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩაერთოს სააქაოში და არც მის განკარგულებაში მოექცეს. არც ერთი მეტაფიზიკური ცნობისმოყვარეობა არ უნდა დაკმაყოფილდეს. დადებულია ხსნის აღთქმა, რომელიც, ღვთის ნებისამებრ, ერთნაირად ეხება ცოცხლებსაც და მკვდრებსაც..

ფოტო: ბარსელ ფელდე

პროგრამა

03. 07. 2016	ვანკუვერი / კანადა
09. 07. 2016	ტირანა / ალბანეთი
10.07. 2016	ტირანა / ალბანეთი
15.07. 2106	ჩიკაპა / კონგოს დრ.
17.07. 2016	კანანგა /კონგოს დრ.
22.07. 2016	კამპალა / უგანდა
24.07. 2016	კამპალა / უგანდა
07. 08. 2016	ლაიფციგი / გერმანია
14.08. 2016	ჰაილბრონი / გერმანია
11.09. 2016	ინსბრუკი / ავსტრია
18.09. 2016	კრეფელდი / გერმანია
24.09. 2016	გრამადო / ბრაზილია

New Apostolic Church
International